საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 508

16 08 2017წ.

ქ. თბილისი

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 07 აგვისტოს №475 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამმართველოს უფროსის 2017 წლის 15 აგვისტოს №945047 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების წესის“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. განხორციელდეს ცვლილება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2017 წლის 07 აგვისტოს №475 ბრძანებაში და:

ა) დანართი №1-ით დამტკიცებული „ფოტოგრაფიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) დანართი №2-ით დამტკიცებული „სახვითი ხელოვნების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად;

გ) დანართი №3-ით დამტკიცებული „საოფისე საქმე და ღონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად;

დ) დანართი №4-ით დამტკიცებული „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №4-ის შესაბამისად;

ე) დანართი №5-ით დამტკიცებული „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №5-ის შესაბამისად;

ვ) დანართი №6-ით დამტკიცებული „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი №6-ის შესაბამისად.

2. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი — თამარ მახარაშვილი